რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს
დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)
თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».
ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) — — | 9 მან. | 6 თვით — — | 5 მან. |
| 11 თვით — — | 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — | 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — | 8 მან. | 4 თვით — — | 4 მან. |
| 9 თვით — — | 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — | 3 მან. |
| 8 თვით — — | 7 მან. | 2 თვით — — | 2 მან. |
| 7 თვით — — | 6 მან. | 1 თვით — — | 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.
ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ქურდები და ადვოკატები

თბილისი, 1 დეკემბერი.

ქუთაისის გუბერნიის ახალმა გუბერნატორმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია გუბერნიაში ავაზაკობის და ქურდობის გავრცელებას და იხმარა მათ წინააღმდეგ ზოგიერთა ზომები, რომელთა საშუალებით მან შეამცირა ავ-კაცობა. ამ უკანასკნელს ხანებში ბატ. გუბერნატორს, მის მოგზაურობის დროს, მრავალ ადგილების მცხოვრებლებმა დიდი მადლობა მოახსენეს ავკაცობის შემამცირებელ ზომებისათვის და მადლობასთანვე დაურთეს თხოვნა შესახებ იმისა, რომ გუბერნატორმა დაიცვას ხალხი ადვოკატებისაგან. რასაკვირველია, მთხოვნელებს აზრათ ჰყავდა უმეტეს ნაწილად სხვა-და-სხვა მაწანწალები, რომლებიც, ვითარცა გამგებელნი თავიანთ მრწმუნებელთა მამულებისა, წარსდგებიან ხოლმე სასამართლოში ამ უკანასკნელთა ინტერესების დასაცველად, ხელმძღვანელობენ თავიანთ მოქმედებაში მხოლოდ პირადი ინტერესებითა და ხშირად სრულიად ღუპვენ იმ ხალხს, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდებათ. რასაკვირველია, ადვოკატობის ბოროტ-მოქმედებანი მიეწერებიან ზოგჯერ ადვოკატთა სხვა წრეებსაც, მაგრამ პირველებს კი უფრო გაუდგამთ ჩვენში ფეხი და მომეტებულად სჩაგვრენ უმეცარს ხალხსა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა ზომებს სცნობს საჭიროდ ქუთაისის გუბერნატორი დასახელებულ ადვოკატთა წინააღმდეგ სახმარებლად და ჯერჯერობით კი საჭიროდ მიგვაჩნია ლაპარაკი შესახებ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა თხოვნისა გუბერნატორისადმი.

როგორც სჩანს, ხალხს იმოდენად გასჭირვებია და თავი მოსძულებია «ადვოკატებისაგან», რომლებიც მას ძლიერ შესჩვევიან, რომ ადვოკატები, ქურდები და ყოველ გვარი მცარცველები სრულიად გაუსწორებია საკუთარს წარმოდგენაში და ყველას მათ ერთ როგად მავნებლებად ჰპოებს. რასაკვირველია, ის სენი, რომელზედაც სჩივიან ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი, დიდია და მის შესამცირებლად საჭირონი არიან ნამდვილი საშუალებანი. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, სანამ ამ საშუალებებზე ვილაპარაკებთ, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც დაბადეს და განაძლიერეს ჩვენში ბოროტ-მომქმედი ადვოკატობა.

ადვოკატობა, ანუ დამცველობა, მოჰყვა სასამართლო რეფორმას, რომელიც ჩვენში შემოღებული იყო მხოლოდ ნაგლეჯ-ნაგლეჯად. ადვოკატობის უფლება მიეცა ყველას, მიუხედავად ადვოკატობის მსურველის სწავლა-განათლების ხარისხისა და ზნეობისა; შესაძლებელია, რომ ესრეთი შეხედულობა ადვოკატობის უფლებისა სამართლიანი იყოს, მაგრამ მან ვერ მოიტანა ის ნაყოფი, რომელსაც მოელოდენ.

ადვოკატობას ხელი მოჰკიდა ერთობ საეჭვო გონების და ზნეობის პატრონებმა და დიდი ვნება მოუტანეს ქვეყანას. მთელი რუსეთი სჩიოდა ამ გარემოებაზე და მმართებლობა იძულებული იყო ახალი კანონის გამოცემით შეემცირებინა ადვოკატთა რიცხვი. კანონით დადგინდა, რომ ადვოკატობის მსურველი ცნობილი უნდა ყოფილიყოს სასამართლოსაგან კარგი ზნეობის ადამიანათ; მას ეგზამენი უნდა მიეცა ადვოკატობის უფლების შეძენისათვის. იმედი ჰქონდათ, რომ ახლად გამოცემული კანონი სენს აღმოფხვრიდა, მაგრამ იმედი

---

«დროების» ფელეტონი, 2 დეკემბ.

## ციცია*)

(მოთხრობა)

ქორღუყოს აჰყარეს იარაღი და შეაგდეს სატუსაღოში, სადაც სამი დღე უჭმელ-უსმელი დამწყვდეული ჰყავდათ, რადგანაც იმ ხანში «ძაუგში» ვიღაც «ამ ქვეყნიური ძალა» მოსულიყო და მთელი იმ ადგილების მართველები «ორობ-ტრიალში» იყვნენ, რომ თავიანთი ცოდოები ... — უწმინდური ქალაქი გაესუფთავებინათ და ყველა მომღიმარის სახით დახვედროდა.

რასაკვირველია, ამ ყოფაში მყოფს მართველებს ქორღუყოსათვის არა სცალოდათ და ეს კი გულის კვნესით იგონებდა თავის ქალის განსაცდელს, რომელსაც იმის აზრით, ვინ იცის, რა დამცირებას აყენებდენ.

პირველსავე დღეს დამწყვდევის შემდეგ, ქორღუყო აიტანა სიბრაზემ და გაანჩხლებულმა აღარ იცოდა, რა ექნა. აქეთ-იქით, აწყდებოდა, ყვიროდა, თავს კედელს ახეთქებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა გარდა იმ სალდათებისა, რომელთაც საპყრობილესთან გავლა მოუხდებოდათ და შეგინებით მოხუცს გაჩუმებას უპირობდენ.

მოხუცი მოილალა, დასუსტდა ამოდენის წყევლებით და სულიერი ბრძოლით; იმას მოერია შიმშილი და, როდესაც მესამე დღეს მის გამოსაყვანათ შევიდენ, ქორღუყო ნახეს კარებთან წაქცეული, რომელიც მძიმედ ქშინავდა, სახე წამოსჭარხლებოდა და ხანდისხან მწარედ კვნესოდა.

თუმცა იმას გონება დაჰკარგოდა, მაგრამ ხანდისხან სახის დალმევა აშკარად ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს ტკივილებსა ჰგრძნოდა.

მოხუცი ეგდო და ხანდისხან ხელების წყვეტით ახსენებდა ციციას, ბექიას და სულთის სახელს, შეშინებული წამოიძახებდა რომელიმე მტარვალის სახელს, რომელიც, უეჭველია, საძაგელის, უსვინიდისოს და უსამართლოს საქციელით თვალ-წინ ეხატებოდა.

მოხუცის მდგომარეობა უფროსს შეატყობინეს, უთხრეს, რომ ქორღუყო ბევრს ველარ გასძლებსო და სხვა.

უფროსმა თავი მოიფხანა, უზრუნველად წარმოსთქვა: «ეშმაკმა წაიღოს». მოითხოვა ქაღალდები რომელიც მოხუცს ზედა ჰქონდა, მაგრამ რომელიც სატუსაღოში სახარჯო ფულებთან ერთად გამქრალიყო, ჩაიქნია ხელი და ისევ გაიმეორა: «ეშმაკმა წაიღოს.» მერე მიუბრუნდა იქავ სტოლთან მჯდომ ოთხად მოკეცილს მოხუცს მწერალს, რომელსაც ფერი ზაფრანად შეჰქონდა და უთხრა:

— დაუწერეთ ქაღალდი, რომ საავად-მყოფოში გაგზავნონ და საქმეში კი დანიშნეთ, რომ უცნობი მოხუცი, რომლის წოდებაც ვერ შევიტყვეთ, რადგანაც თითონ არც სახელი და არც გვარი არ დაასახელა და ზედ კი არა ვითარი ქაღალდი არ ჰქონია, იმყოფებოდა ვლადიკავკაზის პოლიციაში, საიდგანაც საავად-მყოფოში გაიგზავნა, რადგანაც სიგიჟის ნიშნები ეტყობოდა.

— იარაღს რაღა უყოთ? ჰკითხა მწერალმა.

— რა იარაღს?

— აი, — გამოსწია მწერალმა სტოლის უჯრა და დაუმატა: — ვერცხლის ქამარი, ვერცხლით მოჭედილი ხანჯალი, ვერცხლისავე სასწრაფო.

უფროსმა გადაათვალიერა იარაღი და უბძანა იქვე მყოფს პოლიციელს, რომელსაც იარაღზედ მიუთითა და უთხრა:

— შენ ჩემს სახლში წაიღე.

მოსამსახურემ მსწრაფად აასრულა ბრძანება და უფროსი კი შტვენით გაბრუნდა.

— მაშ იარაღისას რას მიბძანებ? გაიმეორა მწერალმა?

— ჰაა?! ერთბაშად წამოუტრიალდა უფროსი და თვალები დაუბრიალა.

მწერალი შეკრთა, ისეც წელში მოხრილი, მომეტებულად მოიკუნტა და თავდახრილმა მღელვარებით წარმოსთქვა:

— იმას მოგახსენებთ, იარაღისას რას მიბძანებთ?

— რა იარაღისას? მკაცრად იკითხა უფროსმა და ხმაში წყენა დაეტყო.

— მოხუცის იარაღისას, ბატონო!

— ახლა მაგაზედ გამართეთ მიწერ-მოწერა!... ჩასწერეთ, რომ მოხუცი ქუჩაზედ უგრძნობლად იპოვეს და არავითარი იარაღი ზედ არ ჰქონია... გაიგე? — მიუბრუნდა მწერალს, რომელიც გამტერებული შეჰყურებდა.

— დიალ, დიალ, გავიგე, — თავის დაკვრით მისცა პასუხი.

უფროსმა გაიარა კარი, ჩაჯდა ფაეტონში და ვინ იცის საითკენ გაუ-

*) იხ. «დროება» №

ტყუილი გამოდგა და ადვოკატობას კი არა ეშველა-რა. ადვოკატობისათვის საკმაო შეიქმნა, კანონის ძალით, მოწმობა იმის შესახებ, რომ თქვენ, დამცველი, ხართ გამგებელი თქვენი მარწმუნებელის მამულისა. ამ რიგად დამცველობას ხელი მოჰკიდეს სრულიად უმეცრებმა და ცუდი ზნეობის ხალხმა.

ჩვენში ბოროტ-მომქმედი ადვოკატობის გაძლიერებას, გარდა ზემოხსენებული კანონისა, წაეხმარა თვით სასამართლოს წყობილობაც და ის გარემოებაც, რომ ჩვენს ენას ადგილი არა აქვს სასამართლოში და ჩვენმა ხალხმა არ იცის სასამართლოში სახმარებელი ენა; ამიტომაც იგი იძულებულია სრულიად უბრალო და მარტივი საქმე ჩაუგდოს ხელში რომელიმე გაიძვერას, რომელიც მას კარგა ხანს არ მოუშვებს კლანჭებსა. გარდა ამისა, იმავე სენს სამსახურს უწევს ისიც, რომ მრავალი კანონები ჩვენს ხალხს ვერ შეუგნია, რადგანაც იგინი შედგენილნი არიან მისი ყოფა-ცხოვრების და ისტორიის მიუხედავად; ხალხი სჯის ყოველს საქმეს და მოქმედობს საკუთარი ჩვეულების და ცხოვრების მიხედვით,— კანონი კი სულ სხვა საფუძველზედ არის დამყარებული, და ამისათვის ხალხის გონება ერთს ამბობს და კანონი სულ სხვას; ამისგამო უთამავალთა რიცხვი ხალხისა და სასამართლოის შორის აუცილებლად უნდა გამრავლებულიყო.

ყოველივე ესე არის ნამდვილი მიზეზი ბოროტ-მომქმედი «ადვოკატობის» გავრცელებისა; ამ უკანასკნელის შესამცირებლად საჭიროა ყურადღება მიაქციონ ხსენებულს მიზეზებს; საჭიროა სრული სასამართლო რეფორმა, კანონების გარდასხედვა და ადგილობრივი ენისათვის კანონიერი უფლების მინიჭება.

ვფიქრობთ, რომ ჩვენ საკმაოდ ვუჩვენეთ მკითხველებს მიზეზები «ადვოკატობის» გავრცელებისა; გაკვრითვე შევეხეთ იმ საშუალებათა, რომლებსაც შეუძლიანთ მოსპონ სენი. თუმცა ყოველივე ესე ცხადია, მაგრამ ზოგიერთები, ნამდვილს წამლის მაგიერ, არა შესაბამ საშუალების ხმარებას გვირჩევენ. მაგალითად, იურიდიული მიმოხილვა სჯის ამავე საგანზე და ფიქრობს, რომ კანონების მუხლით შეიძლება მაწანწალა ადვოკატობის შევიწროება; «იურიდიული მიმოხილვა» ურჩევს სასამართლოს ყურადღება მიაქციოს კანონის ძალით იმასა, სცხოვრობს თუ არა მრწმუნებელი საკუთარს მამულში და რამ აიძულა ის მამულის გამგებლობა სხვისთვის მიენდო? რაში იხატება «ადვოკატისაგან» მამულის გამგებლობა და სცხოვრობს თუ არა მამულის გამგებელი თავის მრწუნებლის მამულში, და თუ არა, როგორ ასრულებს იგი თავის მოვალეობას? უნდა შევუნიშნოთ პატივცემულს ჟურნალს, რომ ეს მუხლები სრულიად უმნიშვნელონი არიან, რადგანაც ძალიან ადვილად შეუძლიან ადამიანს თავიდამ აიცილოს ისა, რასაც იგულისხმებენ აღნიშნულნი მუხლები. ვფიქრობთ, ეს ადვილი გასაგებია, და ამიტომაც მეტს ლაპარაკს საჭიროდ არა ვსცნობთ. უკეთესი იქნებოდა, პატივცემულს ჟურნალს ყურადღება მიექცია სენის ნამდვილს მიზეზებზე და ნამდვილს შემამცირებელ საშუალებებზე, რადგანაც მარჯვე შემთხვევა ეძლეოდა.

## შინაური ქრონიკა

სოფელი შილდიდამ გვწერენ შემდეგს: «მოკვდა ბეჟანიანის საზოგადოების პურის მაღაზიის მწერალი, ბ. საფაროვი, და ჩაუდგა რამოდენიმე კაცით სახლში გლეხს ს. ცეცხლაძეს. რამოდენიმე დღის განმავლობაში ბ. საფაროვმა ამხანაგებითურთ სულ ერთიანად გაანადგურა საცოდავი ცეცხლაძის ოჯახობა; რაც კი რამ ებადა ცეცხლაძეს, ყოველივე აუოხრეს; უკანასკნელად საქონელიც გაუყიდა საფაროვმა 12 მან. ყოველივე ესე ჩაიდინა საფაროვმა შემდეგი მიზეზის გამო: შარშან ცეცხლაძეს ჭირნახული დაუსეტყვა და არა მოსვლია რა. ამიტომაც ცეცხლაძე იძულებული იყო ესესხნა ათი კოდი პური ბეჟანიანის პურის მაღაზიიდამ; წელს სესხი უკვე გარდაიხადა ცეცხლაძემ. ყოველივე ამის მიუხედავად საფაროვმა ჩაიდინა ზემოთ აღწერილი საქმე და აპირობდა ხელ-მეორედ გადაეხდევინება ცეცხლაძეს თავის სესხი. ცეცხლაძე საქმეს გამოუდგა და დაამტკიცა, რომ მან სესხი გარდაიხადა; აღმოჩნდა, რომ თითონ საფაროვს ჩაეწერა დავთარში ცეცხლაძისაგან პურის გარდახდა. ჯერ-ჯერობით საცოდავს გლეხს საქონლის ფულიც არ დაუბრუნეს. სასურველია, რომ ესრეთი თვით ნებითი მოქმედება ბ. საფაროვისა არ განმეორდეს».

სოფელ ვაყიდამა გვწერენ: «ჩვენს სოფელში სცხოვრებენ სომხები გრიგორიანნი, რომლებიც დიდი ხნის გარდმოსახლებულნი არიან ყარაბაღიდამ; ბევრი ამ სომეხთაგანი დღესაც ლაპარაკობს ქართულ ენაზე; დღემდის მათ არა ჰქონიათ სკოლა; ეხლა კი, თ. ლ. ბეგთაბეგოვის თაოსნობით, იმათ განუზრახავთ სკოლის დაარსება და ამისათვის შეუდგენიათ განჩინება, რომელიც უკვე წარუდგენიათ თბილისის სომხის ეპარქიის უფროსისათვის. თ. ლ. ბეგთაბეგოვი თავის მხრით შემწეობას [illegible] სკოლას».

«იურიდიულს მიმოხილვას» ქუთაისიდამ სწერენ: «გუბერნატორის უკანასკნელ მოგზაურობის დროს ქუთაისის გუბერნიაში, მრავალი ადგილების მცხოვრებმა მადლობა მოახსენეს გუბერნატორს იმ ზომებისათვის, რომლებიც მან იხმარა წინააღმდეგ მცარცველებისა და ცხენის ქურდებისა; ამასთანავე სთხოვეს დაიცვას მცხოვრებნი ადვოკატებისაგან».

ამ საგანს, როგორც ღირს-შესანიშნავს, ჩვენ ვუძღვენით დღეს მოწინავე წერილი.

გაზ. «რუსკი კურიერში» ვკითხულობთ: «კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი შუამდგომლობს გახსნას ისეთი ორ-კლასიანი სასწავლებლებისას, როგორნიც არიან სასოფლო სასწავლებლები სახალხო განათლების სამინისტროსი. ამ სასწავლებლებში სწავლა ხუთი-ექვსი წლიწადი უნდა იყოს და სამშობლო ენებსაც უნდა ასწავლიდენ დაბალ განყოფილებაში. ორი ამ გვარი სასწავლებელი თბილისში უნდა დაარსდეს და თითოც ქუთაისში, გორში, თელავში სიღნაღში, კავკავში, განჯაში, ერევანში, ბაქოში, შუშაში და ნუხში. ამ გვარივე ქალების სასწავლებლები უნდა გაიხსნან: ორი თბილისში და თითოც ზემოხსენებულს ქალაქებში. ამას გარდა უნდა გახსნან კიდევ სამ-კლასიანი ქალაქის სასწავლებლები—ორი თბილისში და ერთიც ბაქოში.

დაუდევნელობასა სწამებს ბოროტ-გამზრახველი ხალხი თბილისის ქალაქის გამგეობას. მაინც სხვა რა საქმე აქვს

---

ტია, ვინ იცის საითკენ,—მწერალი კი ჩაუჯდა თავის ქაღალდებს, რომ სისწორით და გადაუბრუნებლად ქაღალდზედ გამოეყვანა თავისი მბრძანებელის სურვილი.

## XXIII

ჭოროყოს ავად-მყოფობა გაუძნელდა, რადგანაც არც მოელა და არც წამლობა წესიერი არა ჰქონდა, და საავადმყოფოს მოწამლული ჰაერი კი არამცთუ მობრუნებას არა შველოდა, არამედ დღითი დღე უფრო-და-უფრო ასუსტებდა.

ბექია და სულთი მოუთმენლად მოელოდენ მურთუზას და ჭოროყოს, რომელთ მოუსვლელობაც ქორწილს აბრკოლებდა.

იმათ ვერ აეხსნათ მოხუცის ასე დაგვიანება, რადგანაც არ იცოდენ არც იმის დაჭერა და არც ავად-მყოფობა.

გაიარა მთელმა კვირამ ამ მოუსვენარს მოლოდინში, მაგრამ მოხუცისა იმათ ვერა გაიგეს-რა და ამისათვის გადასწყვიტეს ქორწილი უმათოდ გადეხადათ და ჯვარი-კი მაშინ დაეწერათ, როდესაც მოხევე და ციცია შინ დაბრუნდებოდენ.

როგორცა სთქვეს, ისეც მოახერხეს. დაინიშნა ქორწილის დღე, მასპინძლებმა დახოცეს საკლავები, მოიპატიჟეს სტუმრები და მეფე-პატარძალი შეაუღლეს მოხუცთ უბრალო ლოცვით.

ყველანი მხიარულობდენ, მღეროდენ, თამაშობდენ და ერთმანერთს ეხუმრებოდენ.

სულთიც, სხვათა შორის, მღეროდა და თამაშობდა, მხიარულებდა და სვამდა, მაგრამ თუ თვალ-ყურს გაადევნებდით, ადვილად დარწმუნდებოდით, რომ ეს ყველა თვალთათვის ხდებოდა მარტო სხვების მოსატყუებლად, რადგანაც მის სახეს ხანდისხან მხიარულობის ფარდა აეხდებოდა და მის მაგიერ მჭმუნვარება გარდაეკროდა, გულიდგან მწარე კვნესა აღმოხდებოდა. მთლად გაფითრებული შეხედავდა ციცის მხიარულს, დარცხვენილს სახეს, უთრთოლდებოდა ტუჩები და თვალებში ისეთი სევდა გამოეხატებოდა, ისეთი, რომ კაცს გულს გაუძეძგამდა.

მაგრამ სულთის სულიერი ძალა იქამდის ძრიელი ჰქონდა, რომ გრძნობისგან დამონებული, ისევ საჩქაროდ შეიმაგრებდა თავს, შეაყენებდა მის უნებლიე აღძრულს და ათრთოლებულს გულს და ყველაზედ მეტს მღერას, თამაშობას და მამაცურს ჭყივილს ასტეხდა.

ასე გაატარეს მთელი ღამე და მოაღწია იმ ჟამმაც, როდესაც ბექია და ციცია უნდა გამოსალმებოდენ თავიანთ გულუხვს მასპინძელს, რომელიც სტუმრის დახვედრას რაღაცა საღმრთო მოვალეობად უყურებდა.

ქალი ჩასვეს წინათვე ჩარდახით გადახურულს ურემში, სადაც ჩაუგეს გობნები, ბალიშები და ჩაულაგეს ის საჩუქრები, რომელნიც ჩენის ქალებს პატარძლისათვის მიეცათ. გვერდს მოუყენეს მისი ძმად ნაფიცი სულთი და გამოისტუმრეს. ბექიას-კი სასოფლო დ მოართვეს შეკაზმული ცხენი, მოუდგნენ ძმა-ბიჭები გვერდს და სიმღერით დაჰყვნენ უკან.

გაუპოხავი ურემი ჭრიჭინით მოგორავდა ვიწრო და უსწორ-მასწორო გზაზედ და მთაში დაჩვეული ფეხმაგარი ხარები კი სიფთხილით მიდიოდენ, რომ ურმის თვალი კლდის ნაპირს სადმე არ გადასცდენოდა.

სულთი დაღვრემილი, შეწუხებული მისდევდა ხარებს და მწარეთ ეხატებოდა გაყრის სურათი, რომელიც თერგთან მიახლოვების უმალ უნდა მომხდარიყო...

იმას კარგად ესმოდა, რა ძნელი გამოსაცდელი ცხოვრებაც მიერგო, ესმოდა, რა უბედურიც შეიქნებოდა ციციასთან დაშორების შემდეგ, მაგრამ სულთი მთიელი იყო, ბავშვობიდგანვე გმირული ქცევა ყურში ჩაწვეთებული ჰქონდა და მისი ღალატი არ ესმოდა, ვერც-კი წარმოედგინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო.

იმას უნდოდა ციციასთან დალაპარაკება, მისი ხმის გაგონება მთიელისთვის მთელი სამოთხე იყო, მაგრამ თითქოს პირზედ კლიტე დადებულს სიტყვა ვერ მოეხერხებინა... რამდენათაც ლაპარაკი სურდა, იმდენად სიტყვა უწყდებოდა და სურვილი მწარეს ბოლმად გულს აწვებოდა, ეხვეოდა, როგორც გველი და რკინის თალებსავით ძალზედ უჭერდა.

ციციაც გაუნძრევლად იჯდა და თავის ძმად ნაფიცს აშკარად ამცნევდა უბედურებას. ისიც ინთებოდა სურვილით ხმა გაეცა, ენუგეშებინა ჩეჩენი, რადგანაც ეს იმის ვალი იყო, როგორც მისი დისა, მაგრამ რა ეთქვა, რითი დაეყვავებინა, როდესაც აშკარად ხედავდა, რომ სულთის გულის მოძრაობა სრულიადაც და-ძმური არ იყო.

—სულთი, რაისთვი არას მეტყვი? ძლივს დაიწყო ქალმა.

ბოროტ ენას! დასამტკიცებლად გამგეობის მოღვაწეობისა და განუცხრომელი გამრჯელობისა, ჩვენ მივაქცევთ თბილისელების ყურადღებას იმ შესანიშნავ მონუმენტებს, რომელთაც ასე უხვათ ნახავს ყოველი მიუდგომელი თვალი ქალაქის ქუჩებზედ. ეს მონუმენტები გახლავან ქალაქის აგენტების მიერ გაყლეჯილი და მოხიბლული მაღლები, რომელნიც შეგხვდებიან, რომ არ შეგვრცხვეს, ყოველი ათი ნაბიჯის გადადგმაზედ. განა მეტი გამრჯელობა კიდევ შეიძლება! ვინც განზრახ თვალს დახუჭავს, რომ არ დაინახოს ამოტელა ლვაწლი, და მერე ნება ჰქონდეს მაინც ალაქლაქოს თავისი ბოროტი ენა გამგეობის უზრუნველობაზედ, იმას დღეის იქით ეს იარაღიც ჩამოერთმევა, და, გინდ თვალიც რომ მოარიდოს, ცხვირი მაინც შეამოწმებს, რომ ქუჩას აყროლებული სუნი მძლავრად გასჯდომია. სწორედ, ურიგოდ არ მოიქცევა ქალაქის გამგეობა, რომ დახოცილი მაღლები სამუდამო მეგლებად იყვნენ ჩამომწკრივებულნი ქალაქის ქუჩებზედ და საქვეყნოთა ლაღადებდნენ მის დაუღალავ და თავგამოდებულ მშრომელობაზედ ქალაქის დღეგრძელობისათვის!... მართალია, ეხლა ჯერ არავინა ფიქრობს ამ მეგლების გადაყრას, მაგრამ, ვინ იცის, იქნება, დიდ-ხანს ვერ გასტანოს თვით-მმართველობის ხასიათიანობამ, თვალ-ყური აღარ ადევნოს, და ვინმე ბოროტ განზრახულთა გადაყარონ იგინი! ეს ძალიან სამწუხარო იქნება, თუმცა ერთი იმედი კიდევ უნდა შევინახოთ გულში, რომ აქ არ შედგება აგენტების მხნეობა, და დღევანდელი მეგლების ადგილზედ აღადგენენ ახლა სხვებსა და უფრო ახლებს!...

≈ გამოვიდა და დაურიგდა ხელისმომწერლებს ჟურნალის «ივერიის» მე-10 წიგნი შემდეგის შინაარსით: I. ქართველ ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნის დასაწყისამდე (დასასრული) მღვ. დ. ჯანაშვილისა, II. წერილები ლორენცო ბენონისა (შემდეგი) თარგმანი ელ. მამულაშვილისა, III. ბერუას ჩივილი (ლექსი) თ. რ. ერისთავისა IV. მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა 1089—1222 წლამდე. თ. თათარ-ხან დადიშკელიანისა და V. შინაური მიმოხილვა.

## «დროების» კორესპონდენცია.

ლეჩხუმი, 15-ს ნოემბერს. ერთი კვირა განმავალობს მას აქეთ, რაც მე მომიხდა ლაილაშში შესვლა ლაჯანურის გზით. სწორედ უნდა მოგახსენოთ, კარგი ხანია, რაც ამ გზაზედ გარება არ შემხვედრია. და განსაკუთრებითი ყურადღება ჩემი ამ ქამად მიიქცია შემდგომმა გარემოებამ. როდესაც მე გავუსწორდი სოფლის ლაჯანურის ეკლესიის გალავანს, შემომესმა მასწავლებლის ხმა ხის სახლიდგან, რომელიც დგას ეკლესიის გალავანში გზის პირზედ. ამ სახლს აღმოსავლეთის მხრით აქვს კარი, რომელიც ამ დროს გაღებული იყო. ამ კარიდგან მე დავინახე შიგნით ისხდნენ ყმაწვილები და მათთან მეცადინობდა აქაური მღვდელი ზერსამია. რადგან მე ვიცოდი, რომ ამ სოფელში გარდა სახაზინო სასწავლებლისა სხვა სკოლა არ არსებობდა, ამისთვის მე გარდმოვხტი ცხენიდგან და შევედი სახლში, სადაც მამა ზლალოჩინი მღვდელი ზერსამია ასწავლიდა 54-მდის ვაჟებს და პატარა ქალებს. პატარა მოსწავლეები ისხდნენ უბრალოდ გაწყობილს ფიცრებზედ და წინაც სტოლების მაგიერად ედგათ ესრეთივე ფიცრები, რომლებსაც იქით-აქეთ თავებში სასთუმლები ფეხების მაგიერობას უსრულებდნენ. სახლს მაღლა ჭერი არ აქვს და შიგნიდგან პირ-და-პირ სახურავს უყურებს. შემდეგ ნახევარის საათისა მ. ზერსამიამ გაათავა მეცადინეობა ბოვშებთან და ვამოვიდა სკოლიდგან. მან დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და მიამბო ამ სკოლის დაარსება. მ. ზერსამია, როგორც მღვდელი ამ სოფლისა და იმავე დროს სჯულის მასწავლებელი აქაურის სახელმწიფო სასწავლებლისა, დარწმუნებულა, რომ აქაურს საზოგადოებას ძლიერ სურს სწავლა, და თუ მეტი არა, თავის სამშობლო ენაზედ წერა-კითხვა შეასწავლონ თავის ბავშებს, მაგრამ მატერიალური საშუალება მათ ნებას არ აძლევს ასწავლონ თავიანთ შვილებს აქაურს სახელმწიფო სასწავლებელში, სადაც მათ დასჭირდებათ როგორც სწავლის ფული, ეგრეთვე წიგნებისა და ქაღალდისა; ამისთვის იშვიათად შეჰყავთ ყმაწვილი ამ სასწავლებელში. ამ გარემოებისა გამო მ. ზურსამიამ განიზრახა თავის სამრევლოში დაარსება ისეთი სკოლისა, რომელშიაც ერთი ან ორი წლის განმავალობაში აქაურს ყმაწვილებს და პატარა ქალებს ესწავლათ უსასყიდლოდ თავის ენაზედ წერა-კითხვა, ცოტაოდენი ანგარიში და საჭირო ლოცვები.

ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ნება-დართვით მ. ზერსამიას ამ წლის ივნისის თვიდგან კიდევაც გაუხსნია სკოლა ეკლესიის გალავანში იმ ხის სახლში, რომელიც აქ ადრევე იყო დადგმული ეკლესიის მოსამსახურე პირთათვის. გახსნა თუ არა ზერსამიამ სკოლა, ეხლა თითქმის ორმოც-და-თოთხმეტი ყმაწვილი მარტო ერთი სამრევლოდგან ერთის პრიხოდის ერთბაშად მოგროვდნენ სკოლაში.

მართალს მოგახსენებთ, ძლიერ სასიამოვნო არის დანახვა ესრეთის მზრუნველობისა მ. ზლალოჩინის ზერსამიასი თავის სამწყსოზედ. ვისურვებ წარმატებას ესრეთის კეთილის საქმისა, და ღმერთმა ქნას, ამ მაგალითმა განუღვიძოს სურვილი სამსახურისა სამწყსოსათვის სხვა სამრევლოთა მღვდლებსაა.

ამასთანავე არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ მიუცილებელი საჭირო არის, საზამთროდ შეკეთება ამ ხის სახლისა, რომელშიაც ბოვშები ეხლა სწავლობენ, და რაოდენად შესაძლებელი იქმნება, გაუმჯობესდეს ამ სკოლის გარემოება შინაგანის მოწყობილობით; მაშინ ეჭვი აღარ იქნება, რომ ამ საქმეს წარმატება მიეცემა. თუმცა ღა მ. ზერსამიას ბევრი უმეცადნია შეგონებით, რომ ამ სოფლის საზოგადოებას, რომელიც დიდს მადლობას სწირავს მას ამ კეთილი საქმისათვის, სახლი მაინც შეეკეთებინათ თავის ხარჯით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დაუთანხმებია ზოგიერთნი. მიზეზი ამ უთანხმოებისა, რასაკვირველია, არის მხოლოდ სილარიბე. მე ჩემის მხრით ვურჩევ მ. ზერსამიას მიიქცეს შუამდგომლობით თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წინაშე, რომელიც, ეჭვი არ არის, შემწეობას ამოუჩენს სკოლას.

ქ. გელოვანი.

---

— აბა რაი გითხრა? ბედშავა,— უპასუხა ჩიჩენმა.

— ხვალ დილით ერთურთს გაეშორდებით,—დაიწყო ქალმა და სიტყვა გაუწყდა, რადგანაც აღარ იცოდა, რითი უნდა გაეგრძელებინა.

— მე მე თვითონაც ვიცი,—მიუგო პასუხი მთიელმა და დადუმდა.

— როდის მოხვალ ჩვენსა?—ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ ციციამ დაიწყო.

— არც როდის.

— რაისთვის არა, ბიჭავ!?

სულთიმ დაღონებით შეხედა, თვალებში თითქოს ცრემლი წამოერია და წყნარად, თუმცა გარკვევით, უპასუხა:

— იმისთვის რო მიყვარხარ.

ციცია შეკრთა, შეეშინდა და გაჩუმდა.

— ზაიგე?—იმავე ხმით იკითხა სულთიმ და ხარებს შოლტი გადაჰკრა, თითქოს გული ამითი უნდოდა მოეფხანა.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, თუმცა იქ მყოფების გული-კი ჩუმად არ იყვნენ და ძალზედ ფართხალებდენ, თუმცა მათი ფართხალის მიზეზი სრულიად სხვა-და-სხვა იყო.

არ გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც მაყრიონი წამოეწია. სულთის უთხრეს, რომ ურემი აეჩქარებინა და რადგანაც ბინდდებოდა, ხარები თერგის პირს გამოეშვა, სადაც ღამე უნდა გაეტარებინათ და მეორე დღეს ცოლ-ქმარი მარტონი უნდა გაესტუმრებინათ, რადგანაც იმ ხანში თერგს გაღმა გასვლა ქისტებს უხათაბალოდ ვერ ასცდებოდა და ამისთვის ბექიასთან აშკარად და საქვეყნოდ სიარული არ შეეძლოთ.

## XXIV

ბინა თერგის პირს მშვენიერს ვაკე მინდორზედ ამოერჩიათ და გაჩაღებულს ცეცხლს გარშემო შემოსხდომოდენ. ყოველთვის მხიარული ყმაწვილი ხალხი ლაქლანდარობით დროს ატარებდა და სიცილით ერთმანერთს სხვა-და-სხვა ამბავს უამბობდა. მარტო სულთი არ ეკარებოდა იმათ და ყოველს წუთს რომელსამე საქმეს იმიზეზებდა, რათა მხიარულებას მოშორებოდა, მაგრამ დანარჩენები არ უსვენებდენ, წამდაუწუმ ეძახდენ და გამხიარებულნი ვერ ითმენდენ დაღონებულის ცქერას.

სულთი დადიოდა დაღვრემილი და გუნებაში ლანძღავდა იმათ, ვინც თავს არ ანებებდა, რომ თავის გულის მოძრაობას დაჰკვირვებოდა, გამარტოებულს მოეფიქრა, შემდეგში რა რიგად მოქცეულიყო.

ჩიჩენმა ველარ გასძლო ბედნიერებთან ახლოობა და ამისთვის ცხენები და ხარები დაირეკა და შორის საძოვრად გარეკა.

რაწამს თავი გამარტოებულად დაინახა, თავისუფლად ამოისუნთქა, და სიხარულით ქვაზედ ჩამოჯდა. იმას ეგონა, რომ შეიძლებდა ფიქრების მოშორებას, მაგრამ ამაოდ ცდილობდა სხვა საგანს დაჰკვირვებოდა, რადგანაც განუწყვეტლივ ციცია ეხატებოდა თვალ-წინ, გული იმასთან შაერთებას ითხოვდა და რაღაცა შურის მზგავსი გრძნობა უნებურად ათქმევინებდა:

— ვაჟია ბედნიერი რად არის, როდესაც მე არა ვარ?.. რაისთვი შემიყვარდა ციცია, განა საქალეთი მაგზედ ჩამოწყდა?..

ამბობდა, ლაპარაკობდა, ფიქრობდა, ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა და დაემტკიცებინა თავის თავისთვის, რომ ციცია უნდა გადაევიწყა, მაგრამ მისი სახე მაცდურად უღიმოდა, იწვევდა, უალერსებდა და იზიდავდა.

ერთბაშად იმას რაღაცა აზრმა გაურბინა, გადისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი და ერთის ცხენისკენ წავიდა.

— უნდა გავიქცე, მოვშორდე, თორემ ველარ შევძლებ,—წამოიძახა იმან, მაგრამ ის იყო ცხენს ხელი გაავლო, როდესაც მოესმა:

— სულთი, ბინაში გეძახიან.

ჩიჩენი შეკრთა და ცხენის ფაფარი ხელიდგან გაუშვა.

— ვინ მეძახის?

— ციცია.

— ციცია?—წარმოსთქვა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:— რაისთვი?

— აბა რაი ვიცი?

სულთი ისევ გაჩუმდა, დაფიქრდა მერე აიქნია თავი და გულში გაურბინა სიტყვებმა:

— მინდოდა გავქცეოდი, თვავად დამაყენა... დეე მოხდეს, რაც მოხდება!

ამ სიტყვებზედ იმან ჩამოიფხატა ქუდი, შეიჭმუხნა წარბები და ბინისკენ გასწია.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

29 ნოემბერს.

**კრონშტადტი.** ადმირალი კაზაკევიჩის მაგივრად, რომელიც დაინიშნა სამხედრო და საადმირალო რჩევათა წევრად, პორტის მთავარ კომანდირათ და გუბერნატორათ დაინიშნა ვიცე-ადმირალი შვარცი.

**რიბინსკი.** დღეს, პარაკლისის შემდეგ, ჩაყარეს ესასყიდლო საავად-მყოფოს საძირკველი; ეს საავად-მყოფო ფუძნდება გემების მუშებისათვის მათი იმპერატორებითი დიდებულებათა დაგვირგვინების სახსოვრად.

**პეშტი.** ვენგრიის სეიმის უფალთა პალატამ უარჰყო დეპუტატთა პალატისაგან მიღებული კანონპროექტი შესახებ მოქალაქეობრივის ქორწინებისა ქრისტიანთა და ებრაელთ შორის.

30 ნოემბერს.

**პეტერბურგი.** დღეს დაიწყო სხდომა სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა რევიზიის კომიტეტისა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენი კრედიტის ბილეთია დანიშნული გასაუქმებლად 1-ს იანვარს 1881 წ. გამოცემული უმაღლესის ბძანების ძალით. ეს ბილეთები სახელმწიფო ბანკმა დროებით გამოსცა სახელმწიფო სალაროს საჭიროებისათვის. იმისათვის რომ ფულის ბაზარი არ შეირყეს, ამ ჟამად მარტო 30,000,000 მანეთის ბილეთს გააუქმებენ.

ქალაქების ურთიერთ შორის ცეცხლისაგან მზღვეველ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრებამ გუშინდელს სხდომაზე დაადგინა: იშუამდგომლონ შინაურ საქმეთა მინისტრისა წინაშე, რათა ყოველი ქონებანი დაზღველ-იქმნან ყველა იმ ქალაქებში, სადაც მზღვეველნი საზოგადოებანი არსებობენ.

**მოსკოვი.** გუშინ დიდ-ძალი ღარიბი ხალხი მიაწყდა გარდაცვალებულის მდიდარი ვაჭრის გუბკინის სახლს, რადგანაც კაცის თავზე თითო მანეთი უნდა დაერიგებინათ. როდესაც გამოჩნდა პრიკაშჩიკი ფულების დასარიგებლად და ალაყაფის კარები გაიღო, ხალხი აირია ერთმანეთში, შეიქმნა საშინელი წყვეტა-გლეჯა, წივილ-კივილი, ქრიამული და შემაძრწუნებელი ყვირილი, და როდესაც წესიერება აღადგინეს, ნახეს კარებთან ექვსი გაჭყლეტილი კაცი და ოთხიც დამახინჯებული.

**ყაზანი.** 27 ნოემბერს შესდგა წლიური კრება მღვდელ-მთავარი გურიის ძმობისა. ძმობის ანგარიშში მოხსენებულია, რომ ძმობის სკოლების წინაღმდეგ, რომელნიც ცდილობენ ჩაუნერგონ ახლად მოქცეულს უცხო თემის ხალხს ქრისტიანობრივი სარწმუნოება, განდგომილნი, თვისთა შემაცდენელთა მაჰმადიანთა ხელმძღვანებლობით, აწესებენ საიდუმლო სკოლებს, სადაც სწავლა მაჰმადიანობის წესზე და ქრისტიანობის წინაღმდეგ მიჰყავთ.

გუშინ გაიხსნა პასაჟი, რომელიც ვაჭარმა ალექსანდროვმა ააშენა; ხმებია, რომ პასაჟის აშენება ერთი მილიონი დაჯდაო.

## განცხადებანი

ქუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხრამეტს რიცხვს ამა დეკემბრისას გამგეობაში არის დანიშნული ვაჭრობა უპერეტორჟკოთ ქუთაისში ხიდების ბაჟის იჯარით გაცემაზე ორი წლის ვადით პირველი იანვრიდამ 1884 წლისა.

ვისაც ვაჭრობა სურს უნდა წარმოადგინოს უზრუნველ საყოფად ვაჭრობისა ხუთასი მანეთი ნაღდი ანუ ბანკის ბილეთებით. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი და დაბეჭდილი კანვერტებითაც, დაიწყება თორმეტ საათზე და გათავდება ორს საათზე ნაშუადღევს. კონდიციის გაცნობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღივ დილის ცხრა საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდი. ნოემბრის დღეს 1883 წელსა ქ. ქუთაისი. (3—1)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისსათვის ქართული «კედლის კალენდარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი პატივი. (30—4)

5 ნაჭერი მიწა

იყიდება იაფად მტკვრის ნაპირზე ახალი ხიდის-მახლობლად ინგლისურს მაღაზიაში. იქვე მიიღეს ბლომად: წისქვილები, ქაღალდი, კალმები, ჩაი, ბისკვიტი, კოვზები, ჩანგლიანი დანები, 550 ინგლისური და ფრანცუზული კრაოტები ყმაწვილებისა და კაცებისა 7 მანეთი, ესე იგი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. მაღაზიას ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ არ შეგეშალოთ. (6—2)


## Открывается подписка НА ГАЗЕТУ
# „КАВКАЗЪ"
## НА БУДУЩІЙ 1884 ГОДЪ.

Газета будетъ издаваться совершенно на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ нынѣшнемъ 1883 году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.

**Условія подписки:** съ доставкою въ Тифлисѣ: на годъ—11 руб. 50 к.; на полгода—6 р.; на три мѣсяца—3 р. 50 к.; на одинъ мѣсяцъ—1 руб. 50 коп.

Съ пересылкою иногороднымъ: на годъ—13 р.; на полгода—7 р.; на три мѣсяца—4 р.; на одинъ мѣсяцъ—1 р. 75 коп.

Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты «Кавказъ», на Дворцовой улицѣ, въ домѣ № 5, Сараджева. Иногородные подписчики адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Кавказъ».

Иногородные могутъ подписываться лишь съ 1-го числа каждаго мѣсяца.

(3—2) *Редакторъ-издатель кн. Д. Г. Эристовъ.*

## Открыта подписка на 1884 годъ (IX годъ изданія) на
# „БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ"

*Газету, издаваемую Бакинскимъ Отдѣленіемъ Императорскаго Русскаго Техническаго Общества.*

Издаваемая въ центрѣ извѣстной всему міру Бакинской нефтяной промышленности, трудами учрежденія, группирующаго въ себѣ лучшія интелигентныя силы края, газета ставитъ своею задачею:

I. Давать полныя, новѣйшія свѣдѣнія о нефтяномъ производствѣ, которыя, между прочимъ, будутъ включать:

а. Свѣдѣнія о добычѣ сырой нефти. (Состояніе и производительность буровыхъ скважинъ, появленіе и дѣятельность нефтяныхъ фонтановъ, успѣхи буровой техники, цѣны на нефть, количество вывоза и мѣстнаго потребленія и пр.)

б. Свѣдѣнія о фабрикаціи керосина. (Численность и производительность керосиновыхъ заводовъ, перегонка и ея усовершенствованія, мѣстные порядки и хроника, цѣны на керосинъ, условія вывоза и пр.)

в. Свѣдѣнія о фабрикаціи смазочныхъ маслъ. (Развитіе фабрикаціи, ея техника, цѣны, вывозъ и пр.)

г. Новыя производства. (Добываніе антрацена, вазелина и проч.)

д. Побочныя производства. (Добыча сѣры и фабрикація сѣрной кислоты, добываніе щелочей и пр.)

е. О разработкѣ мѣсторожденій нафтагиля и добываніи парафина, церезина и др.

*Примѣчаніе*: Матеріалъ для послѣдней рубрики будетъ получаться съ О-ва Челекеня и изъ Закаспійской области (завоеванной у текинцевъ), особенно богатыхъ мѣсторожденіями названныхъ продуктовъ. Проведеніе Закаспійской желѣзной дороги въ глубь страны, открывъ доступъ къ естественнымъ богатствамъ вновь покореннаго края (есть прекрасные минеральные источники, богатыя желѣзныя руды, залежи алебастра и т. п.), несомнѣнно привлечетъ людей предпріимчивыхъ.

II. Слѣдить за примѣненіемъ нефти и ея продуктовъ на отопленіе, освѣщеніе, добываніе газа, въ медицинѣ и т. п.

III. Знакомить съ развитіемъ мореходнаго дѣла по Каспію, главнымъ образомъ въ связи съ нефтянымъ дѣломъ. Здѣсь, кромѣ морской хроники, будутъ печататься историческія свѣдѣнія о развитіи коммерческаго судоходства, свѣдѣнія статистическія и т. п.

По всѣмъ этимъ отдѣламъ, кромѣ свѣдѣній мѣстныхъ, Редакція, по примѣру прежнихъ лѣтъ, будетъ помѣщать въ газетѣ извѣщенія и переводы изъ иностранныхъ спеціальныхъ органовъ, къ чему представляетъ полную возможность богатое собраніе техническихъ періодическихъ изданій, получаемыхъ Отдѣленіемъ Общества.

IV. Отдѣлъ—дѣятельность Отдѣленія Техническаго Общества—въ видѣ извлеченій изъ протоколовъ засѣданій Совѣта и Общихъ Собраній и отдѣльныхъ постановленій.

Кромѣ того, Редакція приложитъ старанія къ собиранію возможно полныхъ свѣдѣній о другихъ, очень значительныхъ, видахъ мѣстной промышленности—рыбной (главнѣйшей на Кавказѣ), соляной, земледѣльческой—преимущественно по шелководству и винодѣлію, занимающимъ самое видное мѣсто среди отраслей сельскохозяйственной промышленности края; а также будетъ знакомить и съ развитіемъ торговли—транзитной и вывозной въ Азію; съ открытіемъ рельсоваго пути отъ Чорнаго моря къ Каспійскому и внутрь Азіи, торговля должна занять видное мѣсто въ жизни края, а свѣдѣнія о ней—въ нашей газетѣ.

Затѣмъ будетъ удѣлено мѣсто интересамъ мѣстной общественной жизни: народному образованію, самоуправленію, законоположеніямъ, ихъ касающимся и пр.

| Подписная цѣна | на годъ, | на 6 мѣс., | на 3 мѣс., | на 1 мѣс. |
|---|---|---|---|---|
| Безъ пересылки | 6 руб. | 3 р. 50 к. | 2 р. | 75 коп. |
| Съ пересылкою въ Россію | 7 руб. | 4 р. | 2 р. 50 к. | 1 руб. |
| Съ пересылкою заграницу | 8 руб. | 4 р. 50 к. | | |

Подписка принимается: въ гор. Баку, въ Редакціи, помѣщающейся въ квартирѣ Отдѣленія Императорскаго Русскаго Техническаго Общества, у крѣпостныхъ воротъ, домъ Ашумова. (3—1)


*Дозв. цензур. Тифлисъ, 1 Декабря 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.